ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

430.01
ბ 79

500000031119

უპირობის მოვლენა მხატვრულ ტექსტში

ბოგვერაძე დიანა

204861970
LIBRARY
LEPL ILIA STATE UNIVERSITY

2010

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბოგვერაძე ჯინა

უპირობის მოვლენა მხატვრულ ტექსტში

2010

ანოტაცია

გრამატიკის თანამედროვე მკვლევარები ხაზს უსვამენ ზმნის უმნიშვნელოვანეს ადგილს მეტყველების ნაწილთა შორის. რაოდენობრივი თვალსაზრისით ზმნა ყველაზე მოცულობითი მეტყველების ნაწილია.

პირის კატეგორია მჭიდროდაა დაკავშირებული უპირობის კატეგორიასთან. ზმნას აზასიათებს უპ. ყოვლისა მოქმედების სუბიექტისადმი მიმართება და ამიტომ ყველაზე ტიპიური მნიშვნელობა პირიანი ფორმებისთვის კონკრეტულ-პიროვნულ მნიშვნელობაა. უპირობის საფუძველს ზმნების ისეთი გამოყენება წარმოადგენს, როდესაც ზმნური ფორმა მოქმედებას ან მდგომარეობას აღნიშნავს, რომელიც სუბიექტის მონაწილეობის გარეშე მოიაზრება. უპირო კონსტრუქციებში ექსპლიციტურად აკლია სუბიექტი, თუმცა იმპლიციტურად იგი მოიაზრება, იგულისხმება.

ის ან სუბიექტის პასიურობის შედეგია ან მესამე, განუსაზღვრელის, იმის, რაც ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე. ეს ნიშნავს, რომ სემანტიკურ პლანში პირიანობა-უპირობა, პირის გრამატიკული განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა ერთი და იგივე კატეგორიის ფარულ მნიშვნელობებს ეთანადება. ამიტომ უპირობის კატეგორია უნდა განისაზღვროს როგორც სემანტიკურ-სინტაქსური კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიურად მხოლოდ მხ. რიცხვის მე-3 პირით, სემანტიკურად - აგენსის ან მოქმედების წყაროს უცნობობის თვისებით, სინტაქსურად - ექსპლიციტური არასუბიექტურობით.

პირის სემანტიკურ-სინტაქსური კატეგორია, ისე როგორც ყველა ენობრივი გრამატიკული კატეგორია, შეესაბამება ობიექტურ რეალობას და ასახავს მას ადამიანური შემეცნების და აზროვნების პრიზმაში.

ზმნის პირის კატეგორიას უკავშირდება უპირობის კატეგორია. უპირობის გრამატიკული კატეგორია პირის კატეგორიის თავისებური ოპოზიციაა. ის პერსონალურობის ერთ–ერთი სახეობაა.